

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

შოთა მათითაშვილი

**ქართული ბერმონაზვნობა IV-VIII
საუკუნეებში**

**ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის**

მ ა ც ნ ე

თბილისი
2018

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

გიორგი ოთხმეზური – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური რეცენზენტები:

დისერტაციის დაცვა შედგება ???? წლის ?? ?????? ?? საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის 1, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი, ???-ე აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს სწავულებილი მდივანი:
????????????????????

ნაშრომის საერთო დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალობა.

ქართული ბერმონაზვნობა საუკუნეების განმავლობაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა საქართველოს ისტორიასა და ქართულ კულტურაში. საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დაწესება და განვითარება ქართველოლოგიურ მეცნიერებათა უმნიშვნელოვანეს პრობლემად იქცა და დღემდე არ კარგავს აქტუალობას. უფრო მეტიც, საბჭოთა ტოტალიტარიზმის შემდეგ ქართულმა მონასტრულმა კერებმა აღორძინება დაიწყო, აღორძინების ამ პროცესში კი გადამწყვეტი როლი ენიჭება ქართული ბერმონაზვნობის სათავეებისა და ხასიათის შესწავლას. საქართველოში თანამედროვე მოღვაწე (ანუ მონაზვნური) ცხოვრებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ძველი ქართული სამონასტრო ტრადიციების გათვალისწინება და ამ ტრადიციებზე დაყრდნობით მონასტრული ცხოვრების შემდგომი განვითარება.

ქართული ბერმონაზვნობის შესწავლას ამგვარი, შეიძლება ითქვას ერთობ პრაქტიკული, დანიშნულების გარდა წმინდა ისტორიოგრაფიული დატვირთვაც გააჩნია. მონასტერი შუა საუკუნეების საქართველოში ქრისტიანული კულტურის უმთავრესი შემოქმედი იყო, თუმცა მონასტრების ფუნქცია მხოლოდ სულიერი, კულტურული ან შემოქმედებითი ასპექტებით არ ამოიწურებოდა. მონასტერი მძლავრ ფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა და შეიძლება ითქვას რომ ის იყო „სახელმწიფო სახელმწიფოს შიგნით“.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სულიერი და ეკონომიკური სიძლიერის მთავარი წყარო სწორედ ქართულ მონასტრებშია საძიებელი. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ყურადღება ექცევა „ასკეტიზმის პოლიტიკის“ შესწავლას, ჩვენც ქართული ბერმონაზვნობის გენეზისისა და განვითარების თავდაპირველი ეტაპის განხილვაც სწორედ ამ კონტექსტში შევეცადეთ. ასკეტიზმის პოლიტიკა მრავალ ფაქტორს განსაზღვრავდა შუა საუკუნეების საქართველოში. ძალიან მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ქართული სამონასტრო მოძრაობის სწორედ ამ ადრეულ პერიოდზე (გგულისხმობთ მის, ასე ვთქვათ, ემბრიონულ მდგომარეობას IV-V საუკუნეებში და შემდგომ განვითარებას VI-VIII საუკუნეებში), რადგან ის ძირეული მექანიზმები და კონცეპტები, რითაც შუა საუკუნეების სამონასტრო ცხოვრება ხელმძღვანელობდა საქართველოში სწორედ ამ პერიოდში ჩაისახა. ასურელი მამებისა და მათი მოაწაფეების მოღვაწეობაში გამოვლინდა ქართული ბერმონაზვნობის მისიონერული ხასიათი, რომელიც მას არ დაუკარგავს მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, ხოლო შიო-მღვიმის მამათა და სტეფანოზ ერისმთავრის დაპირისპირებაში ქართული ბერმონაზვნობის პოლიტიკური და სოციალური სიძლიერე. ცნობილი ბიზანტიოლოგი ავერილ კამერონი (Averil Cameron) აღნიშნავს, რომ ასკეტური მოძრაობა, განვითარების თავდაპირველ ეტაპზე, ამქვეყნიურ დიდებასთან და ძალაუფლებასთან დაპირისპირებული, მალევე თავად იქცა ამ ძალაუფლების მატარებლად და სოციალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ცვლილებათა ინიციატორად. კამერონის შენიშვნა სრულებით სამართლიანია შუა საუკუნეების საქართველოს შემთხვევაშიც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ქართული სამონასტრო ცხოვრების შესწავლა ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანია, რადგან ქართული ბერმონაზვნობის ისტორიის (და კერძოდ მისი ყველაზე ადრეული ეტაპის) შესწავლის გარეშე შეუძლებელია შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და კულტურის ადქეკვატურად გვეგება.

საკვლევი თემის მიზანი.

საკვლევი თემის უმთავრესი მიზანია საქართველოში სამონასტრო ცხოვრების აღმოცენების გზების დადგენა ქრისტიანული ბერმონაზვნობის ფართოდ მიმოხილვის ფონზე, ქართული ბერმონაზვნობის თავდაპირველი ხასიათისა და აქ გავრცელებული სამონასტრო ცხოვრების ტიპების შესწავლა, ასევე ასურელ მამათა ქართლში მოღვაწეობის მიმოხილვა, მათ მიერ დაარსებულ მონასტერთა ტიპოლოგიზაცია და ამ ტიპოლოგიურ ცვლილებათა ქრონოლოგიური აღწერა, ქართული ბერმონაზვნობის შემდგომი განვითარების კვლევა VI-VIII საუკუნეებში და ასევე ამ ეპოქის მონასტერთა დახასიათება.

ნაშრომის მეთოდოლოგიური ბაზა.

ნაშრომის მეთოდოლოგიური ბაზა ეყრდნობა წყაროების (წერილობითი, არქეოლოგიური, ფოლკლორული, ეპიგრაფიკული) კომპლექსურ ანალიზს, საკითხის არა მხოლოდ ემპირიულ კვლევასა და ფაქტების აღწერას, არამედ ქართული ბერმონაზვნობის,

როგორც განსაკუთრებული და თვითმყოფადი ფენომენის ზოგად დახასიათებას, ქართული ბერმონაზვნობის კონტექსტუალიზაციას (მის განხილვას აღმოსავლური ბერმონაზვნობისა და, ზოგადად, ქრისტიანული ასკეტიზმის უადრესად მრავალფეროვან ფორმათა ფონზე). კვლევისას ვიყენებთ ასკეტიზმის ცნობილი მკვლევრების ვინსენტ ვიმბუშისა (Vincent Wimbush) და რიჩარდ ვალანტასის (Richard Valantasis) მიერ შემოთავაზებულ პრინციპებს: ყურადღებას ვამახვილებთ საქართველოში ასკეტური ცხოვრების მოტივაციაზე, პოლიტიკაზე, ჰერმენევტიკასა და ესთეტიკაზე, ხოლო ჰაგიოგრაფიის ანალიზისას ყურადღებას ვაქცევთ ავერილ კამერონის (Averil Cameron) მიერ წარმოჩენილ ფაქტორებს, რომელიც ყველა ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში გვხვდება: მეტაფორა, წარმოსახვა, ნარატივი (თხრობა) და კატეგორიზაცია.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე.

ნაშრომში ქართული ბერმონაზვნობის დასაწყისი VI საუკუნის 40-იან წლების მაგივრად (როდესაც საქართველოში ასურელი მამები მოვიდნენ) IV საუკუნის დამდეგისათვის გადაგვაქვს. როგორც ირკვევა საქართველოში ქრისტიანული ასკეტიზმის პირველმქადაგებლები წმ. ნინო და ევსტათი სებასტიელი იყვნენ. წმ. ნინო ადრეულ ეკლესიაში არსებულ ასკეტ ქრისტიანთა – ქალწულთა წრეს (ძველ ქართულში იხსენიება როგორც „ქალწულთა დასი/მწყობრი/ბანაკი“) განეკუთვნებოდა და ამ წრის ტიპიური წარმომადგენელი იყო. ქალწულები და ქვრივები სრულიად განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდნენ ძველ

ეკლესიაში, ისინი გამორჩეულად ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდნენ და შეიძლება ითქვას რომ ქრისტიანული ბერმონაზვნობის დამწვებნი იყვნენ.

ეგსტათი სებასტიელი IV საუკუნის ცნობილი მღვდელმთავარი იყო, რომელის პონტოში, სომხეთში, პაფლაგონიასა და პონტოსპირეთში (ანუ იბერიასა და კოლხეთში) ბერმონაზვნური ცხოვრების წესს ქადაგებდა. ნაშრომში განვიხილავთ V საუკუნის ისეთ ქართულ მონასტრებს, როგორებიც იყვნენ ოპიზა, წილკანი და ატენი, ასევე ანაქორეტული ცხოვრების წესს. სადისერტაციო შრომში ვცდილობთ ქართული ბერმონაზვნობის ისტორიის პერიოდიზაციას და ასურელ მამათა და მათ მოწაფეთა მიერ დაარსებული, ასევე საერთოდ VII-VIII საუკუნეების მონასტერთა ტიპოლოგიზაციას.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს საქართველოს ეკლესიის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევრებს, სტუდენტებსა და ზოგადად მკითხველ საზოგადოებას, ასევე გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია თანამედროვე ქართული ბერმონაზვნობის განვითარების ზოგიერთ საკითხში. ნაშრომი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც საერო, ასევე სასულიერო სასწავლებელთა სასწავლო პროგრამებში.

ნაშრომის აპრობაცია.

ნაშრომი სხვადასხვა სტატიებისა და მოხსენებების სახით წარდგენილ იქნა სამეცნიერო საზოგადოების წინაშე. ნაშრომის ზოგიერთი თავი მოხსენების სახით წავიკითხეთ 2012-2016 წლებში გამართულ სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციაზე, ზოგიერთი საკითხი სტატიის სახით დაიბეჭდა სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემებში (სულ ხუთი სტატია). ჩემი სტატია ასურელ მამათა შესახებ გამოქვეყნდა კალიფორნიის უნივერსიტეტის (ბერკლი) ელექტორულ ჟურნალში “გვიანანტიკურობის კვლევები” (Studies in Late Antiquity)

ნაშრომის სტრუქტურა.

ნაშრომი შედგება შესავლის, შვიდი თავის, ქვეთავებისა და დასკვნისაგან. ბოლოს ერთვის დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის ჩამონათვალი.

სადისერტაციო ნაშრომის შინაარსი

შესავალი

ნაშრომის შესავალში მოკლედაა მიმოხილული სადისერტაციო თემის კვლევის საგანი, მიზანი, სიახლე, მეთოდოლოგია და ასევე მოსალოდნელი შედეგები (იხ. ზემოთ).

თავი I. ქრისტიანული ბერმონაზვნობა

§1. აღმოსავლური ბერმონაზვნობის აღმავლობა.

ეგვიპტე ქრისტიანული ბერმონაზვნობის სამშობლოდ ითვლება. ბერმონაზვნობის სიმბოლურ მამამთავრად ანტონი დიდი (251-356) მიიჩნევა. ანტონი დიდი ერთ-ერთი პირველი იყო ვინც უდაბნოში გავიდა და იქ დაიწყო მკაცრი ანაქორეტული მოღვაწეობა, შემდეგ კი პისპირში, 306 წელს პირველი სამონასტრო ერთობის დამაარსებლად იქცა. ანტონი დიდმა შორს გაითქვა სახელი და ქრისტიანთათვის საყოველთაო ავტორიტეტად იქცა. 357 წელს ათაანსე ალექსანდრიელმა დაწერა თხზულება მისი ცხოვრებასი შესახებ, ეს თხზულება საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანული ჰაგიოგრაფიის კლასიკურ ნიმუშად იქცა.

ეგვიპტეში ცნობილი სამონასტრო ცენტრები იყო ნიტრია, სენაკები და სკიტი. ამონ დიდის მიერ (293-350) დაარსებული ნიტრია ალექსანდრიის მახლობლად, მის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა, კელიები ანუ სენაკები ნიტრიიდან რამდენიმე კილომეტრში ერთად დაარსეს ამონ ნიტრიელმა და ანტონი დიდმა დაახ. 338 წელს, ხოლო სკიტო, რომელიც ნიტრიიდან დაახ. 60 კმ-ში მდებარეობდა მაკარი ეგვიპტელმა (300-391) დააფუძნა, ეგვიპტური ბერმონაზვნობის სახელგანთქმულმა მამამ. სკიტში ცნობილი იყო ოთხი მონასტერი.

კვინობური მონასტრული ცხოვრების მამამთავარი იყო პახომი დიდი (291-346), რომელმაც ზემო ეგვიპტეში (Upper Egypt) ცხრა მამათა და ორი დედათა მონასტერი

დააფუძნა და სიცოცხლის ბოლომდე ამ მონასტერთა დიდ კონგრეგაციას ედგა სათავეში.

სირიაში სამონაზვნო ცხოვრების პირველდამწყებად იაკობ ნისიბელი იქცა, რომელმაც დაახ. III საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო ასკეტური მოღვაწეობა და IV საუკუნის დამდეგს ნისიბისის ეპისკოპოსად დაასხეს ხელი. იაკობ ნისიბელს მრავალი სასწაული და წინასწარმეტყველება უკავშირდება. იაკობ ნისიბელის შემდეგ სირიაში ბერმონაზვნური ცხოვრების აღმავლობა დაიწყო. სირიული ბერმონაზვნობა (ისევე როგორც სირიული ქრისტიანობა საერთოდ) დიდად განსხვავდებოდა ბერმონაზვნობის ბერძნულ-რომაული თუ ეგვიპტური ტრადიციისგან. სირიული ბერმონაზვნობისათვის ტრადიციულად იქცა უსართულო ცხოვრების წესი, სხეულის დათრგუნვა ჯაჭვებით, ღრმა ორმოებში დაყუდება და მესვეტეობა, რომელიც ასკეტური ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე რთულ ფორმას წარმოადგენდა. სირიული ბერმონაზვნობის სახელგანთქმულ მოღვაწეებად იქცნენ ივლიანე-საბა, მარკიანე, იაკობ კვირელი, სვიმეონ მესვეტე და სხვ.

პალესტინაში ბერმონაზვნობის მესაძირკველებად იქცნენ წმ. ილარიონი და წმ. ხარიტონი. მათ აქ მოღვაწეობა III-IV საუკუნეთა მიჯნაზე დაიწვეს. ხარიტონმა სამი ლავრა ააშენა. პალესტინაში, იერუსალიმსა და იერუსალიმის შემოგარენში მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრები დაარსეს მელანია უფროსმა, რუფინუს აკვილიელმა, მელანია უმცროსმა, პაულამ, ნეტარმა იერონიმემ, პეტრე იბერიელმა და ა.შ. პალესტინაში ბერმონაზვნური ცხოვრების აღმავლობა და უმნიშვნელოვანესი სამონაზვნო კერების დაფუძნება უკავშირდებათ ისეთ დიდი მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ ექვთიმე დიდი,

თეოდოსი დიდი, საბა განწმენდილი, ისაია განწმენდილი, ბარსანუფი და იოანე და ა.შ.

მცირე აზიაში ბერმონაზენური ცხოვრების მესაძირკვედ ევსტათი სებასტიელი (დაახ. 300-375) იქცა, რომელიც ასკეტური ცხოვრების წესს ქადაგებდა პაფლაგონიაში, სომხეთში, პონტოსა და საქართველოში, თუმცა მისი მოძღვრება მნიშვნელოვან ერეტიკულ ელემენტებს შეიცავდა, ამიტომ ევსტათის სწავლება რამდენიმე კრებაზე ანათემას გადაეცა. ევსტათის მეგობარი იყო ბასილი დიდი (330-379), რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია ქრისტიანული ბერმონაზენობის განვითარებაზე. მან პონტოში, საკუთარ მამულში, მდ. ირისის ნაპირას დაარსა სამონასტრო თემი. ბასილი დიდის კალამს ეკუთვნის დიდი მოცულობის თხზულება „ასკეტიკონი“, სადაც გადმოცემულია სწავლება მონაზენური ცხოვრების შესახებ. ბასილი დიდის მისრ შემუშავებული სამონასტრო მოღვაწის ბიზანტიური ბერმონაზენობის კლასიკურ მაგალითად იქცა.

§2. ბერმონაზენური ცხოვრების ტიპები.

ქრისტიანული ბერმონაზენობის წარმოშობის პროცესში ასკეტური ცხოვრების სხვადასხვაგვარი ფორმები ჩამოყალიბდა, თუმცა თავიდანვე სამი ძირითადი ფორმა გამოიკვეთა: ანაქორეტული, ლავრული და კვინობური. ანაქორეტული მოღვაწეობა მარტომყოფელურ დაყუდებას გულისხმობდა, ლავრა მარტომყოფელ მოღვაწეთა გაერთიანება იყო, რომლებიც შაბათ-კვირას ეკლესიაში იკრიბებოდნენ, ხოლო კვინობი იმ მონაზონთა ერთობას წარმოადგენდა, რომლებიც

კვლევით შემოზღუდულ მონასტერში ერთი წინამძღვრის მორჩილების ქვეშ ცხოვრობდნენ.

თავი II. ქართული ბერმონაზვნობის ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემა

§1. ქართული ბერმონაზვნობის გენეზისის ისტორიოგრაფიული მიმოხილვა.

ქართული ბერმონაზვნობის მეცნიერული კვლევა უკვე XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო და ამ კვლევის დასაწყისი პლატონ იოსელიანის სახელს უკავშირდება, რომელმაც თავის *საქართველოს მოკლე საეკლესიო ისტორიაში* და რიგ ნაშრომებში, რომელიც ასურელ მამათა მიერ დაარსებულ სავანეებს მიუძღვნა, ქართული სამონასტრო ცხოვრების რიგ პრობლემებზე იმსჯელა. ვახუშტი ბატონიშვილიდან მოყოლებული პლატონ იოსელიანისა და სხვა მკვლევართა ჩათვლით, ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში მიღებული იყო აზრი, რომლის თანახმადაც საქართველოში ბერმონაზვნური ცხოვრება სირიიდან მოსულმა ცამეტმა სირიელმა ბერმა დაიწყო, თუმცა ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სამონაზვნო მოძრაობა საქართველოში ჯერ კიდევ V საუკუნეში უნდა დაწყებულიყო. ასეთივე შეხედულება გამოთქვეს საქართველოს ეკლესიის ცნობილმა მკვლევარებმა გრიგოლ ფერაძემ და მიქაელ თარხნიშვილმა. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ამავე მოსაზრებას დაუჭირეს მხარი გ. გაფრინდაშვილმა, ა. ბოგვერაძემ, მ. ჩხარტიშვილმა, ნ. ბახტაძემ, დ. ხოშტარიამ, ა. ჯიქიამ და სხვ. დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ შეხედულება რომლის თანახმადაც საქართველოში სამონასტრო ცხოვრება ასურელმა

მამებმა დაიწყეს, აღარ წარმოადგენს გაბატონებულ მოსაზრებას, რაც აადვილებს ქართული ბერმონაზვნობის გენეზისის კვლევას და ახალი მოსაზრებების წამოყენებას.

§2. ქართული ბერმონაზვნობის ისტორიის პერიოდიზაცია.

მონაზვნური მოძრაობა საქართველოში წმ. ნინოსა და ევსტათი სებასტიელის მოღვაწეობით იწყება და გრძელდება ინდივიდუალურ განდევილთა მოსაგრეობითა და ისეთი მონასტრების დაარსებით, როგორებიცაა ოპიზა და წილკანი V საუკუნეში, ხოლო ატენი V საუკუნის მიწურულს ან VI საუკუნის პირველ ნახევარში, თუმცა ამ პერიოდში მონასტრული ცხოვრება საქართველოში ფართოდ არ იშლება და ნაკლები როლი აქვს ქვეყნის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამიტომ IV-V საუკუნეები ქართული ბერმონაზვნობის პირველ პერიოდად უნდა ჩაითვალოს. ქართული ბერმონაზვნობის ახალი, მეორე პერიოდი ასურელი მამების შემოსვლით იწყება. ასურელმა მამებმა, რომელთა უმთავრესი მიზანი ქართლში მისიონერული მოღვაწეობა იყო, დაარსეს მონასტრები, რომლებიც უმნიშვნელოვანეს სულიერ და კულტურულ ცენტრებად იქცნენ. ქართული მონასტრული ცხოვრების მეორე პერიოდი VIII საუკუნის მიწურულამდე გრძელდება. VIII მიწურულდა და IX საუკუნის დამდგეს გრიგოლ ხანძთელის მოთავეობით ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კოლონიზაცია იწყება, რაც თავისთავად ქართული ბერმონაზვნობის ისტორიაში ახალი, მესამე პერიოდის დაწყებას მოასწავებს. IX-X საუკუნეები

ქართული სამონასტრო ცხოვრების აღმავლობისა და აყვავების ხანაა, როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ. XI საუკუნიდან საქართველოს ეკლესიისა (და კონკრეტულად ქართული ბერმონაზვნობის) ისტორიაში ახალი ფაზა იწყება. მთაწმინდელთა მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოიტანა ქართულ კულტურაში. საქართველოს ეკლესია დაშორდა აღმოსავლურ (ანტიოქიურ-იერუსალიმურ) ტრადიციას და უფრო დაუახლოვდა ბიზანტიურ-კონსტანტინეპოლურს. ქართული ბერმონაზვნობის ეს ახალი მეოთხე პერიოდი XI-XVIII საუკუნეებს მოიცავს. ქართულ მონასტრებზე პირდაპირ აისახებოდა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა. XIX და XX საუკუნეები, მეფის რუსეთისა და საბჭოთა ტოტალიტარიზმის ეპოქები, შესაბამისად მეხუთე და მეექვსე პერიოდებად უნდა განვიხილოთ, ხოლო ახალ მეშვიდე პერიოდად – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაწყებული საქართველოს ეკლესიის აღორძინება.

თავი III. ქართული ბერმონაზვნობა IV საუკუნეში

§1. წმ. ნინო და ქრისტიანული ასკეტიზმი: ნინოს ცხოვრება როგორც უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულება.

მეცხრამეტე საუკუნეში ძველი ქართული მწერლობიდან „ნინოს ცხოვრების“ რამდენიმე ვარიანტი იყო მოღწეული (ლეონტი მროველისეული, არსენ ივალთოელისეული, XIII საუკუნის უცნობი მეტაფრასი

და სვინაქსარული „ცხოვრებანი“). 1888 წელს ნ. მარმა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავში „მატბერდის კრებული“ აღმოაჩინა, სადაც იყო დაცული „ქართლის მოქცევა“. მისი პირველი ნაწილი როგორც ცნობილია ისტორიული ქრონიკაა, სადაც წმ. ნინოს ცხოვრების მოკლე რედაქციაა ჩართული (ეს რედაქცია ცალკე, დამოუკიდებელი ტრადიციის მატარებელია), ხოლო თხზულების მეორე ნაწილს წმ. ნინოს ვრცელი „ცხოვრება“ წარმოადგენს. ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის დასკვნით, „ნინო ცხოვრება“ (ისევე როგორც მთლიანად „ქართლის მოქცევა“) IX საუკუნეში დაწერილი თხზულებაა. ამ შეხედულებამ მყარად მოიკიდა ფეხი მთელი XX საუკუნის განმავლობაში. „ნინოს ცხოვრება“ IX საუკუნის ფსევდოეპიგრაფიკულ, არაავთენტურ ძეგლად ითვლებოდა, თუმცა XX საუკუნის მიწურულს ჩატარებულმა კვლევებმა ამ შეხედულების სიმცდარე საფუძვლიანად აჩვენეს. რ. სირაძის, მ. ჩხარტიშვილის, ლ. პატარიძისა და სხვა მკვლევართა მონოგრაფიებში ვრცლად იქნა მიმოხილული წმ. ნინოს ვრცელი „ცხოვრების“ მრავალი ასპექტი, რის შედეგადაც გაირკვა, რომ „ცხოვრება“ არა IX საუკუნის, არამედ IV საუკუნის ავთენტური ძეგლია (ბუნებრივია თხზულებამ საუკუნეთა განმავლობაში გარკვეული რედაქციული ცვლილებები განიცადა, რითაც აიხსნება „ცხოვრებაში“ არსებული ინტერპოლაციები). ჩვენ შევეცადეთ აღნიშნული დასკვნა კიდევ უფრო გაგვემყარებინა. თხზულების დაკვირვებული ანალიზისას ირკვევა, რომ წმ. ნინო ძველ ეკლესიაში არსებული ქალწულთა დასისი წარმომადგენელი იყო. საქმე ისაა რომ ადრეულ ქრისტიანობაში, ბერმონაზვნობის წარმოშობამდე კარგა ხნით ადრე ქრისტიანთა ნაწილი ასკეტური ცხოვრების გზას იღრჩევდა, ასეთი ქრისტიანები (როგორც

მამაკაცები, ასევე ქალები) „ქალწულებად“ იხსენიებოდნენ. „ქალწულება“ უფრო ტექნიკური შინაარსის ტერმინი იყო (ისევე როგორც ქვრივობა) და არა ბიოლოგიურ, არამედ ქრისტიანთა სულიერ მდგომარეობასა და ცხოვრების წესს გამოხატავდა. ამგვარი ქრისტიანები თემებსაც ქმნიდნენ (არ უნდა ავურიოთ ეს ასკეტური თემები მონასტრებში).

§2. წმ. ნინო როგორც ქრისტიანი ასკეტი.

ქალწულთა დასისი წარმომადგენელი ქალები დიაკონესებად მსახურობდნენ, მათ ევალებოდათ ასევე ახალგაზრდა ქალწულთა განსწავლა და ეპისკოპოსის დახმარება. ქალწულები გარდამავალი ტიპის ქრისტიანული ასკეტიზმის წარმომადგენლები იყვნენ, ქალწულთა თემები მოგვიანებით სამონასტრო ორგანიზაციებად გარდაიქმნენ, ამ ტიპის ასკეტიზმი (რომელიც თანამედროვე კვლევებში პრიმიტიულ ბერმონაზვნობად განიხილება) სრულებით შთანთქა გვიანდელმა სამონასტრო ტრადიციამ. „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ სწორედ ამგვარი ტიპის ასკეტიზმია ასახული, რაც ეჭვიმუტანლად ცხადვოს „ნინოს ცხოვრების“ ყველაზე ძველი ფენის უაღრესად ავთენტურ ხასიათს (რადგან ეს ე. წ. გარდამავალი ხასიათის ასკეტიზმი მოგვიანებით სრულიად გაქრა, ხოლო IX საუკუნეში მისი ხელოვნური აღდგენა სრულებით წარმოუდგენელია, მაშინ როცა ამ ასკეტიზმის ფორმების რეკონსტრუქცია თვით თანამედროვე კვლევების პირობებშიც კი რთულია). წმ. ნინო ჯერ რიფსიმიანელთა თემში მოღვაწეობს, შემდეგ კი ქართლში თავადვე ქმნის ქალწულთა თემს, დედათა მონასტრის ერთგავრ

პროტოტიპს. წმ. ნინოს ცხოვრებაში ასახული ასკეტიზმის ფორმები, ლიტურგია, სახისმტყველება, ესთეტიკა და პრინციპები სრულიად შეესატყვისება III-IV საუკუნეთა ხმელთაშუაზღვისპირულ ქრისტიანულ სამყაროში ასრებულ წარმოდგენებსა და სახეებს, ასე რომ წმ. ნინო ნამდვილად ქრისტიანული ასკეტიზმის პირველმქადაგებელი და დამფუძნებელია ქართლში.

§3. წმ. ნინო – ქრისტიან ქალწულთა ასკეტური თემის წინამძღვარი.

პრიმიტიული მონასტრული თემები – ქალწულთა (ასკეტ ქრისტიანთა) ერთობები II-III საუკუნეებიდან იყო გავრცელებული ქრისტიანულ ხმელთაშუაზღვისპირეთში. ამგვარ მონასტრულ თემებზე უადრესად მდიდარი მასალა დაცული ჩვენამდე მოღწეულ პაპირუსებში. *ქართლის მოქცევის* თანახმად, ქართლში მოსული ნინო გარს შემოიკრებს ქრისტიანობაზე ახლადმოქცეულ ქალებს, რომლებიც მუდმივად მასთან ერთად იმყოფებიან მაცვლოვანსა თუ სვიტიცხოველთან, ლოცულობენ და ასკეტურ მოღვაწეობას ეწევიან. ვფიქრობთ, ძალზე ცხადია, რომ იბერიაში საქადაგებლად მოსულმა ნინომ აქაც ქრისტიან ასკეტ ქალწულთა იმგვარივე თემი დაარსა, როგორებიც იყო გავრცელებული მცირე აზიაში, ეგვიპტეში, პალესტინასა და სირიაში. უცნობია წმ. ნინოს მიერ ორგანიზებული ამ ასკეტური ერთობის ბედი ქართლის განმანათლებლის გარდაცვალების შემდეგ. შესაძლებელია ეს ერთობა, საბოლოოდ, ბოდბეში, წმ. ნინოს საფლავზე დაფუძნდა და დედათა მონასტრად ჩამოყალიბდა.

§4. ევსტათი სებასტიელი.

ევსტათი სებასტიელი (300-375) სახელგანთქმული მცირეაზიელი მოღვაწე იყო, რომელიც ბერმონაზვნური ცხოვრების წესს ქადაგებდა პონტოში, სომხეთში, პაფლაგონიასა და საქართველოში. ერმია სოძომენე გადმოგვცემს, რომ ევსტათი ასკეტურ ცხოვრებას სხვა მხარეებთან ერთად „პონტოსპირეთშიც“ ქადაგებდა, რაც უეჭველად უნდა გულისხმობდეს კოლხეთსა და იბერიას, რაც ძველ ბერძნულ და ბიზანტიურ მწერლობაში სხვა დამოწმებული მაგალითებითაც დასტურდება, ამ ცხოვრების წესის ქადაგებას უეჭველად უნდა მოყოლდა კოლხეთისა და ქართლის სახმრეთ-დასავლეთ მხარეებში არიანელობის გავრცელებაც, რადგან ევსტათი ამ პერიოდში სწორედ არიანელობას აღიარებდა.

თავი IV. ქართული ბერმონაზვნობა V საუკუნეში

§1. წილკნის მონასტერი.

1978 წელს წილკნის მახლობლად აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის აკლდამა. აკლდამაში, კედელზე შემორჩენილი იყო ბერძნული წარწერა, სადაც მოიხსენიება „ჰესიქასტი, აბბა ფარუნესი“, როგორც ჩანს აღნიშნული აკლდამა მახლობლად მდებარე მონასტერს ეკუთვნოდა, სადაც ბერები იკრძალებოდნენ. აკლდამის სიახლოვეს შემორჩენილი იყო მცირე ზომის სამლოცველო ეგვიპტური.

§2. განდევილები V საუკუნის ქართლში.

„შუშანიკის ცხოვრებაში“ იხსენიება „წმინდა კაცი“, რომელთანაც რჩევის საკითხავად იყვნენ მისულები იაკობ ცურტაველი და ეპისკოპოსი აფოცი. ეს წმინდა კაცი, ზოგადად, ტიპიური მოვლენა იყო გვიანანტიკური ხმელთაშუაზღვისპირული ქრისტიანული სამყაროსათვის. ეს იყო ქარიზმატული მოძღვარი, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა საზოგადოებაში (პიტერ ბრაუნი). რადგანაც „წმინდა კაცი“ რაიმე სპეციალური განმარტების გარეშეა მოხსენიებული, ეს იმას უნდა ნიშნავდეს რომ „წმინდა კაცის“ სახე არაა კოდირებული, როგორც ჩანს ეს წმინდა კაცი არაა მარტო და ქართლში სხვაგანაც არიან ასეთი წმინდანები, რომლებიც თავ-თავიანთ ვანებში (რაც ასკეტის საცხოვრებლის აღმნიშვნელია) ინდივიდუალურ მემყუდროვე მემხოლოვე ცხოვრებას ეწევიან (ასმათ ჯიქია).

§3. ოპიზის მონასტრის დაარსება.

ჯუანშერი თავის თხზულებაში „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“ აღწერს ვახტანგ გორგასლისა და სპარსელთა ლაშქრობას პონტოში. რთული სათქმელია რამდენად შეესატყვისება ლაშქრობის აღწერილობა ისტორიულ სინამდვილეს, თუმცა აქვე ჯუანშერი გვამცნობს, რომ პონტოში ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ვახტანგ გორგასალმა ოპიზაში მონასტერი დაარსა საბერძნეთში ნანახი მონასტრების მოდელის მიხედვით. ეს ცნობა კი სრულებით ლოგიკურად ჯდება იმ კონტექსტში, რასაც ადგილი ჰქონდა პონტო-კაპადოკიის

სამონასტრო ცხოვრებაში IV-V საუკუნეებში, როდესაც ბასილი დიდის მიერ დაარსებულმა მონასტრებმა უდიდესი გავლენა მოიპოვეს არა მხოლოდ პონტო-კაპადოკიის, არამედ პალესტინის სამონასტრო ცხოვრებაზე. ბუნებრივია ამ გავლენას ვერ აცდებოდა პონტო-კაპადოკიის უშუალო მეზობელი ტაო-კლარჯეთიც. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისედაც ხანგრძლივი სულიერი, კულტურული და ეთნიკური კავშირი ჰქონდა პონტოსთან და კაპადოკიასთან, ასე რომ ჯუანშერის ეს ცნობა სრულებით შეესატყვისება ისტორიულ რეალობას. ოპიზის მონასტერი სწორედ ბასილისეული ტიპიკონისა უნდა ყოფილიყო.

§4. პეტრე იბერიელი.

პეტრე იბერიელი (411-489) V საუკუნის უმნიშვნელოვანესი მოღვაწეა. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროს ისტორიაში. პეტრე ქართველი ქართლის მეფის კარზე დაიბადა, მცირეწლოვანი ის მძევლად წაიყვანეს კონსტანტინეპოლში, საიდანაც პალესტინაში გაიქცა და მითრიდატე ლაზთან ერთად ბერად აღიკვეცა. პეტრემ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა აღმოსავლეთში მონოფიზიტური (მიაფიზიტური) მოძღვრებისა და ბერმონაზვნური ცხოვრების დასამკვიდრებლად. მცდარია მისი სახელის დაკავშირება XX საუკუნის შუა ხანებში ბეთლემის მახლობლად აღმოჩენილ ქართულ მონასტერთან

§5. ბირ ელ-კატი.

XX საუკუნის 50-იან წლებში ქალაქ ბეთლემის მახლობლად, იტალიელი მღვდლისა და არქეოლოგის, ვირჯილიო კორბოს მიერ აღმოჩენილ იქნა ქართული მონასტერი, სადაც შემორჩენილია ერთ-ერთი უძველესი ქართული წარწერა, თუმცა ჩვენ ისტორიოგრაფიაში უკვე ტრადიციულად დამკვიდრებული გაიგივება ბეთლემის ქართული მონასტრების წარწერებში ნახსენები „მარვანისა“ და „ბოზმარისა“ პეტრე იბერიელთან და მამამის ბუზმართან, არ დასტურდება. სახელი „მარვანი“ პეტრეს ასურული ცხოვრების ქართულად მთარგმნელის მიერაა შეთხზული, რადგან პეტრეს ერისკაცობაში „ნაბარნუგი“ ერქვა და არა „მარვანი“. ვის ეკუთვნის ბეთლემის წარწერებში მოხსენიებული სახელები, ეს მომავალმა კვლევამ უნდა აჩვენოს. ფაქტია, რომ ბირ ელ-კატის მონასტერი ქართული ბერმონაზვნობის ერთ-ერთი უძველესი ცენტრია. აღსანიშნავია, რომ სრულიად აშკარაა ბირ ელ-კატის მონასტრის კვინობური (ზოგადცხოვრებული) ხასიათი ანუ მონასტრის ძმობა ერთად ცხოვრობდა, გაღავნიტ შემოზღუდულ ნაგებობაში და ერთ, დადგენილ წინამძღვარსა და ერთ ტიპიკონს ემორჩილებოდა.

§6. უმ-ლეისუნი.

XX საუკუნის 90-იან წლებში ისრაელელ არქეოლოგ ჯონ სელიგმანის მიერ, ასევე ბეთლემის მახლობლად, გაითხარა აქამდე უცნობი ქართული მონასტერი, რომლის ერთ-ერთ აკლდამაშიც აღმოჩნდა წარწერა, სადაც იხსენიება „ფურტავის ეპისკოპოსი სამუელ ქართველი“. სპეციალისტებს განსხვავებული

მოსაზრებები აქვთ იმასთან დაკავშირებით, თუ სად მდებარეობდა ფურტავი და ვინ იყო ეპისკოპოსი სამუელ ქართველი, თუმცა ამ შემთხვევაშიც ერთი რამ ფაქტია: უმ-ლეისუნის მონასტერი კიდევ ერთი უძველესი ქართული კვინობური მონასტერია და ის კიდევ ერთხელ ცხადად ასაბუთებს ქართული ბერმონაზვნობის ფართო ფართო გავრცელებას V-VI საუკუნეების პალესტინაში.

თავი V. ასურელი მამები

§1. ასურელ მამათა ცხოვრებანი.

მ. ჩხარტიშვილის თანახმად, *ასურელ მამათა ცხოვრების* პირველი ავტორი იოანე-მარტვირი უნდა ყოფილიყო – იოანე ზედაზნელის მოწაფე. *ასურელ მამათა ცხოვრების* ამ თავდაპირველ რედაქციას ჩვენამდე არ მოუღწევია. ცხოვრების ყველაზე ძველ რედაქციას სინური რედაქციები წარმოადგენს. X საუკუნეში ცნობილმა საეკლესიო მწერალმა და თეოლოგმა კათალიკოსმა არსენ II-მ (955-980) შეთხზა *იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეები ცხოვრება (შიო მღვიმელისა და ისე წილენელისა)*. XI-XII საუკუნეებსა და უფრო გვიანდელ პერიოდში შეიქმნა თხზულებები სხვადასხვა ასურელ მამათა შესახებ.

§2. ასურელი მამები – ასკეტები და მისიონერები.

საქართველოში მონასტრული ცხოვრების განვითარების ახალი, უმნიშვნელოვანესი ეტაპი ქართლის სამეფოში ცამეტი სირიელი მონაზვნის

მოდვაწეობას უკავშირდება. დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა, რომ საქართველოში ბერმონაზვნური ცხოვრება სწორედ ამ ათცამეტმა ასურელმა ბერმა დაიწყო. ასურელმა მამებმა ქართლისა და კახეთის სხვადასხვა მხარეებში მონასტრები დაარსეს. მათ მიერ დაარსებული მონასტრები ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს კერებად იქცნენ, განსაკუთრებით ზედაზენი, შიო-მღვიმე და დავით-გარეჯა. ბერები საქართველოში იოანე ზედაზნელის წინამძღოლობით შემოვიდნენ VI საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში. ასურელ მამათა რიცხვი ცამეტი იყო. ესენი ყვნენ: იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი, აბიბოს ნეკრესელი, ისე წილკნელი, იოსებ ალავერდელი, ისიდორე სამთავნელი, სტეფანე ხირსელი, ზენონ იყალთოელი, თადეოზ სტეფანწმინდელი, პიროს ბრეთელი, მიქაელ ულუმბოელი და ელია დიაკონი. მათი რიცხვი თოთხმეტი იქნება თუკი მათ ანტონ მარტყოფელს მივუმატებთ, რომელიც ასურელ მამებს მოგვაინებით შემოუერთდათ და ეს რიცხვი თხუთმეტამდე გაიზარდა თუ მათ თეოდოსი მრეხელსაც მივათვლით, რომელიც ასურელ მამათა *ცხოვრების* სინურ რედაქციაში იხსენიება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იბერიაში წამოსვლამდე ბერებმა ლოცვა-კურთხევა სირიული ბერმონაზვნობის უდიდესი მოღვაწისგან, სვიმეონ მესვეტისგან აიღეს, რომელთანაც ქართველებს (როგორც ამას თავად სვიმეონის „ცხოვრება“ გვაუწყებს) ხშირი ურთიერთობა ჰქონდათ. ასურელ მამათა „ცხოვრებებში“ ძალიან აშკარადაა ნათქვამი, რომ სირიელი ბერების უმთავრესი მიზანი კაპადოკიელი ქალწულის – ქართლის განმანათლებლის დაწყებული საქმის გაგრძელება იყო ანუ მათ უმთავრეს მიზანს მისიონერობა და ქადაგება წარმოადგენდა და არა მონასტრების დაარსება.

XIX საუკუნეში ასურელ მამათა დიოფიზიტურ აღმსარებლობაში ეჭვი არავის შეუტანია, თუმცა 1926 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში კ. კეკელიძემ ისინი მონოფიზიტებად (მიაფიზიტებად) გამოაცხადა. მკვლევარის თანახმად ასურელი მამები სირიელი მონოფიზიტები იყვნენ, რომლებიც რამდენიმე ნაკადად მოვიდნენ საქრათველოში და მათი რიცხვი არა ცამეტი, არამედ ჩვიდმეტი იყო. კ. კეკელიძის აზრი გაიზიარეს ლ. მენაბდემ და სხვა მეცნიერებმა, თუმცა უკანასკნელი ხანის გამოკვლევების თანახმად (ჩხარტიშვილი, მერკვილაძე), მათი სარწმუნეობრივი აღმსარებლობა ნამდვილად ქალკედონური იყო. მსგავს შემთხვევას ვხდებით ალბანეთის ისტორიაშიც, როდესაც დაახლოებით იმავე ხანებში (VI საუკუნის შუა ხანები) ქალკედონიტი სირიელი ბერების ჯგუფი ალბანეთში ჩავიდა სამისიონეროდ.

ძალიან მნიშვნელოვანია ასურელ მამათა მიერ დაარსებულ მონასტერთა ტიპოლოგიზაცია, რომელიც მანამადე არ გაკეთებულა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ქართლში თავდაპირველად მოსული მამები პრიმიტიული ასკეტური ერთობა ჰქონდათ, მას შემდეგ რაც იოანე ზედაზნელმა ისინი ქართლის სამეფოს სახვადასხვა კუთხეებში დააგზავნა საქადგებლად და სამოღვაწეოდ, მათ ასკეტთა სავანეების დაარსება დაიწყო. ასურელ მამათა მიერ თავდაპირველად დაარსებული სავანეები ლავრის ტიპის მონასტრები იყო, რომელიც შემდგომში კვინობებად გარდაიქმნენ, თუმცა კვინობის პარალელურად მის სიახლოვეს, მონასტრის წინამძღვრის სულიერი ხელმძღვანელობის ქვეშ ინდივიდუალური განდევილებიც აგრძელებდნენ მოღვაწეობას. VI საუკუნის ქართულ მონასტრებზე სავარუაოდ დიდი გავლენა ექნებოდა პალესტინაში განვითარებულ სამონასტრო

ცხოვრებას, ცნობილია რომ ქართველები არასდროს წყვეტდნენ კავშირს წმინდა მიწასთან. ამიტომ უსაფუძვლო არ იქნება ვიფიქროთ, რომ ქართული ბერმონაზვნობაც ამ პერიოდში პალესტინური მოდელის მიხედვით ვითრდებოდა, მითუმეტეს „დავით გარეჯელის ცხოვრებიდან” ჩვენ ვიცით, რომ დავითმა პალესტინაში იმოგზაურა, თუმცა იერუსალიმში არ შესულა.

თავი VI. ქართული ბერმონაზვნობა ასურელ მამათა შემდეგ

§1. ასურელ მამათა მიერ დაარსებული მონასტრები ასურელ მამათა შემდეგ.

მას შემდეგ, რაც ასურელმა მამებმა დაასრულეს თავიანთი მოღვაწეობა, მათ მიერ დაფუძნებული მონასტრები განაგრძობდა არსებობასა და განვითარებას, რასაც კარგად ამოწმებს ზედაზნის, შიო-მღვიმის, დავით-გარეჯის, ბრეთისა და ულუმბოს მონასტრეთა თუ ნამონასტრალთა შესახებ არსებული წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემები. მაგ. შიო-მღვიმე მძლავრ სამონასტრო ცენტრად გადაიქცა, რომელიც კომპლექსური ორგანიზაციითა და მსხვილი მიწათმფლობელობით ხასიათდებოდა. შიო-მღვიმე ქართლის ეკლესიის გაკლენის მნიშვნელოვან იარაღად იქცა, როდესაც ის, VII საუკუნის დასაწყისში, გაბედულად დაუპირისპირდა ქართლის ერისმთავარ სტეფანოსს და გაიმარჯვა კიდევაც ამ დაპირისპირებაში. მსხვილ მიწათმფლობელად და გაკლენიან ფეოდალურ ორგანიზაციად უნდა ქცეულიყო ამ პერიოდში დავით-გარეჯიც, რასაც არქეოლოგიური მასალებიც მიუთითებს.

§2. ატენის მონასტერი.

ატენის მონასტერი იხსენიება VI საუკუნის სირიელი მოღვაწის, ბეთ მარ ისააკ გაბუღელის მონასტრის წინამძღვარ თომას წერილებში. წინამძღვარი თომა საუბრობს სირიელ ეპისკოპოს სვიმეონზე, რომელიც გურზანის ქვეყანაში, ტანას მონასტერში იქაურ საეკლესიო საქმეთა განსამართავად ჩასულა VI საუკუნის შუა წლებში. ბუნებრივია, „ტანას მონასტერში“ ატენის მონასტერი უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც VI საუკუნეში შუა წლებისათვის უკვე არსებობდა და, როგორც ჩანს, საკმაოდ მნიშვნელოვან სამონასტრო ცენტრსაც წარმოადგენდა (რადგან აქაურ საეკლესიო საქმეთა განსამართავად ეპისკოპოსი სირიიდან ჩამოვიდა). რთული იმის თქმა, თუ როდის უნდა იყოს დაფუძნებული ატენის მონასტერი, თუმცა სავარაუდოდ ამ მონასტრის დაარსება V საუკუნის მიწურულსა ან VI საუკუნი I ნახევარში უნდა მომხდარიყო.

§3. ნაგზაურას სამონასტრო კომპლექსი.

XX საუკუნის 80-იან წლებში დმანისის მახლობლად, უშუალოდ ცენტრალურ მაგისტრალთან, აღმოჩნდა უძველესი ქართული მონასტერი. ეს მონასტერი ტიპიურ კვინობურ ერთობას წარმოადგენდა, შემოზღუდული იყო გალავნით, გალავნის შიგნით ერთმანეთის გვერდით, ოთხი ეკლესია, სენაკები და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები მდებარეობდა. ნაგზაურას კომპლექსს VI-VIII საუკუნეებში უნდა ეარსება. ეს ძველი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ მის ტერიტორიაზე წითელი ტუფის ქვისგან ნაკეთები უამრავი პლასტიკური

გამოსახულება და წარწერიანი ქვა (სტელეები, ქვაჯვარები) აღმოჩნდა, რაც უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ქართული პალეოგრაფიის ისტორიისათვის.

§4. ლამაზი გორის სამონასტრო ანსამბლი.

1968 წელს ჯუანშერ ამირანაშვილის ხელმძღვანელობით, ბოლნისის სიონის მახლობლად, გაითხარა ადრეული შუა საუკუნეების კიდევ ერთი ქართული მონასტერი, რომელიც ასევე კვინობური ხასიათისა უნდა ყოფილიყო. მონასტრის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ორი ნაეკლესიარი და სენაკების (და სხვა ნაგებობების) ნაშთები. მონასტერი VI-IX საუკუნეებში მოქმედებდა და კულტურის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა, რადგან, ნაგზაურას კომპლექსის მსგავსად, აქაც აღმოჩნდა მარავლრიცხოვანი ქვის ქანდაკებანი და წარწერიანი ქვები.

§5. ქასურის მონასტერი.

ასურელ მამათა შემდგომ ქართული ბერმონაზვნობა უწყვეტ განვითარებას განიცდის და მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს საქართველოს ცხოვრებაში. ქართული მონასტრები იმ უმნიშვნელოვანესი სოციალური ძვრების მონაწილენი ხდებიან, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ გვიან ანტიკურ და ადრეული შუა საუკუნეების ქართლში.

ქასურის მონასტერი ზედაზნის მთის სამხრეთ კალთაზე, ფერდობზე მდებარეობს. ეს მონასტერი იოანე ზედაზნელის მოწაფემ, ელია დიაკვანმა დაარსა და მას

თავიდანვე კვინობური ხასიათი უნდა ჰქონოდა. სწორედ აქ ჩამოასვენეს გარდაცვლილი იოანე ზედაზნელის წმინდა ნაწილები, თუმცა, ჰაგიოგრაფიული თხრობის თანახმად, სასწაულებრივი მინიშნების შემდეგ წმინდანის ცხედარი უკანვე, იოანეს დაყუდების თავდაპირველად ადგილზე აასვენეს (სადაც ახლა ზედაზნის მონასტერი და X საუკუნის იოანე ნათლისმცემლის ტაძარი დაგს).

ეკლესია, რომელიც დღემდეა შემორჩენილი (მნიშვნელოვნად დაზიანდა XX საუკუნის 20-იან წლებში), გ. ჩუბინაშვილის აღწერით, VI-VII საუკუნეების ტიპური ძეგლია, რაც ჰაგიოგრაფიულ ტექსტთა მონაცემებს ადასტურებს.

§6. ყვირილას ხეობის მონასტრები.

ყვირილას ხეობაში არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგად აღმოჩნდა დაყუდებულ ბერთა სენაკები. ამგვარი სენაკები გვხვდება მღვიმევის დედათა მონასტრის გასწვრივ, მთის ფერდობებზე და თირის მონასტრის მახლობლად. აქ ბერებს VII-VIII საუკუნეებში უნდა ემოღვაწევათ. სპეციალისტთა დასკვნით, მღვიმევის სენაკები ინდივიდუალურ განდევილებს ეკუთვნოდა, შეიძლება ისინი მახლობლად მდებარე ლავრის წინამძღვრის სულიერი მორჩილების ქვეშ ყოფილიყვნენ, ხოლო თირის კლდოვან გამოქვაბულში აღმოჩენილ იქნა ორმო, რომელიც, როგორც კვლევებმა აჩვენა, ანაქორეტის სამყოფელი უნდა ყოფილიყო (ორმოში დაყუდება ცნობილი იყო სირიული ბერმონაზვნობის პრაქტიკიდან). სავარაუდოდ, ორმოში დაყუდებული ბერი

მკაცრი ანაქორეტი იყო და სრულ მარტოებაში ცხოვრობდა.

დასკვნა

დასკვნაში მოკლედია მიმოხილული სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი დებულებები და მოსაზრებები. დასკვნაში მოკლედ ვაჯამებთ კვლევისას მიღებულ შედეგებსა და სიახლეებს.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities
Institute of Georgian History

The Manuscript

Shota Matitashvili

**Georgian Monasticism in Fourth to Eighth
Centuries**

Abstract (Herald)

**Of the dissertation submitted in partial fulfillment of
the requirements for the award of the Degree
of Doctor of Philosophy in (PhD) in History**

Tbilisi
2018

Dissertation was accomplished at the Institute of Georgia,
Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili State University
State University.

Scientific Supervisor:

Giorgi Otkhmezuri – Doctor of Sciences in History,
Professor

Official Reviews:

General Description of the Work

Currency of the research theme.

During centuries, Georgian monasticism used to play an important role in the history and culture of Georgia. Beginning and development of a monasticism in Georgia became a significant problem in Kartvelian (Georgian) studies and is very urgent till today. Furthermore, after the Soviet totalitarianism, Georgian monasteries began revival and in this process, study of origins and a character of Georgian monastic life was very crucial. Considering the ancient Georgian monastic tradition and subsequent development on the basis of this tradition.

